

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

**№1 სტომატოლოგიური კლინიკის**

**დროებითი დებულება**

**(09.10.2009 №23/3)**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის №1 სტომატოლოგიური კლინიკის (შემდგომში „კლინიკა“) შექმნილია „უმაღლესი განათლების შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად. **(09.10.2009 №23/3)**

2. სამართლებრივი მდგომარეობით და უფლება-მოვალეობებით კლინიკა უთანაბრდება იურიდიული პირის ფილიალებისათვის განსაზღვრულ სტატუსს, რომელიც ფუნქციონირებს საგადასახადო ორგანოებში სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე.

3. კლინიკა საქმიანობისას ძირითადად ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, მათ შორის თსსუ-ს წესდებით, კომპეტენციის შესაბამისად თსსუ-ს მართვის ორგანოების გადაწყვეტილებებითა და წინამდებარე დებულებით.

4. კლინიკას აქვს დადგენილი წესით დამტკიცებული რეკვიზიტებით სარგებლობის უფლება. კლინიკის ფუნქციონირებისათვის გადაცემული ქონებით, მათ შორის ფინანსური სახსრებით სარგებლობას და განკარგვას კლინიკა ახორციელებს ამ დებულებით დადგენილი წესით. ფინანსური სახსრების აკუმულირებისათვის კლინიკას გააჩნია უნივერსიტეტის ქვეანგარიში და შესაბამისი საღარო.

5. კლინიკის ადმინისტრაციის მისამართია: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №2

**მუხლი 2. კლინიკის ძირითადი მიზანი და ფუნქციები**

1. კლინიკის ძირითადი მიზანია დიპლომამდელი (საბაზო) და დიპლომისშემდგომი (რეზიდენტურა, რეზიდენტურის ალტერნატიული ფორმა) და უწყვეტი პროფესიული განვითარებისა (პროფესიული მზადებისა და სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება) პროგრამების განხორციელებისათვის კლინიკური ბაზით უზრუნველყოფა, ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო მომსახურების პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისი სამედიცინო საქმიანობა

2. კლინიკის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

ა) დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი (რეზიდენტურა) პროფესიული მზადების (კლინიკური დისციპლინების სწავლება) განხორციელება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) უწყვეტი პროფესიული განვითარება: უწყვეტი სამედიცინო განათლების პროფესიული რეაბილიტაცია და სხვა შესაბამისი პროგრამების, ციკლებისა და ტრენინგების განხორციელება;

გ) ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო მომსახურების პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებთან შესაბამისი სამედიცინო საქმიანობა;

დ) სასწავლო-მეთოდოლოგიური და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება.

3. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებისას კლინიკას უფლება აქვს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან შეთანხმებით მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას და ამ დებულებას.

4. კლინიკა უფლებამოსილია:

ა) დადგენილი წესით განახორციელოს ყველა აუცილებელი ქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება დებულებით გათვალისწინებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებასთან, თსსუ-ს დავალებებთან და გაფორმებულ ხელშეკრულებებთან.

ბ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ფარგლებში საკუთარი სახელით დადოს ცალკეულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან სათანადო ხელშეკრულებები (კონტრაქტები) სამუშაოების (მომსახურების) ჩატარებაზე. მოახდინოს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს (მომსახურების) ანაზღაურება;

გ) თსსუ-სთან შეთანხმებით შექმნას ფონდები და კომისიები (მათ შორის ეთიკისა და სამედიცინო სტანდარტების კომისია).

5. კლინიკა თსსუ-სთან შეთანხმებით ადგენს და ამტკიცებს სამედიცინო სტანდარტებს კლინიკის მიერ განსახორციელებელი სამედიცინო მომსახურების სფეროების მიხედვით.

6. კლინიკა ვალდებულია ოპერატიულად მიაწოდოს თსსუ-ს მართვის ორგანოებს მოთხოვნილი ინფორმაცია ცალკეული სამუშაოების შესრულების შესახებ.

### **მუხლი 3. კლინიკის ხელმძღვანელობა**

1. კლინიკას ხელმძღვანელობს კლინიკის დირექტორი (შემდგომში – დირექტორი), რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ს.ს.ი.პ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი (შემდგომში – რექტორი).

2. კლინიკის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ 10 (ათი) წლიანი პროფესიული საქმიანობის გამოცდილება.

3. დირექტორს ჰყავს 2 მოადგილე, სამკურნალო და საფინანსო და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დარგში, რომელთაც რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კლინიკის დირექტორი.

4. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული დირექტორის მოადგილე.

5. დირექტორის მოადგილეთა უფლებამოსილებანი, აგრეთვე სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომელთაც ისინი გაუწევენ კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას განისაზღვრება კლინიკის დირექტორის ბრძანებით.

#### **მუხლი 4. კლინიკის დირექტორი**

1. კლინიკის დირექტორი:

ა) განსაზღვრავს და რექტორთან შეთანხმებით ბრძანებით ამტკიცებს კლინიკის სტრუქტურასა და საშტატო განრიგს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს ნორმატიული აქტების, თსსუ მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების და დავალებების შესრულებისათვის იმ სფეროში, რომელიც კლინიკის საქმიანობას ეხება;

გ) წარმოადგენს კლინიკას მინდობილობის გარეშე;

დ) სამუშაოს შესასრულებლად ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან დამოუკიდებლად დებს ხელშეკრულებებს, რომელთა ღირებულებაც არ აღემატება თსსუ-ს მიერ დადგენილ ოდენობას;

ე) სამუშაოდ იღებს და ათავისუფლებს მუშაკებს (გარდა ამ დებულებით განსაზღვრული პირებისა). წყვეტს თანამშრომლების წახალისებასა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხებს;

ვ) შეიმუშავებს კლინიკის წლიურ ხარჯთაღრიცხვას, საფინანსო გეგმას, შრომის ანაზღაურების, პრემიების ფორმებსა და სისტემებს. შვებულების მიცემის წესს და მის ხანგრძლივობას;

ზ) ამტკიცებს კლინიკის შინაგანაწესს;

თ) წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით ამტკიცებს სამედიცინო სტანდარტებს;

ი) ანაწილებს მოვალეობებს კლინიკის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებებს და დავალებებს, აკონტროლებს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას;

კ) კლინიკის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელების მიზნით, თსსუ-ს მიერ დადგენილ ფარგლებში ახორციელებს კლინიკის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას და პასუხისმგებელია მის სწორ გამოყენებასა და მოვლა-პატრონობაზე;

ლ) კომპეტენციის ფარგლებში დამოუკიდებლად წყვეტს კლინიკის საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა სხვა საკითხს;

2. კლინიკის საფინანსო გეგმა კლინიკის დირექტორის წარდგინებით მტკიცდება თსსუ-ს კანცლერის მიერ.

3. კლინიკის დირექტორი ანგარიშვალდებულია რექტორისა და კანცლერის წინაშე მართვის ამ ორგანოთა კომპეტენციის გათვალისწინებით.

#### **მუხლი 5. კლინიკის აპარატი, მისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობა და დამხმარე პერსონალი**

1. კლინიკის საქმიანობა ხორციელდება კლინიკის დირექტორის მიერ კლინიკის თანამშრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე.

2. კლინიკის პერსონალის მიღება-განთავისუფლებას და მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების საკითხს დამტკიცებული სტრუქტურისა და საშტატო განრიგის ფარგლებში უშუალოდ წყვეტს კლინიკის დირექტორი.

3. შრომითი ხელშეკრულებები უნდა ითვალისწინებდეს შრომითი და სამოქალაქო კანონმდებლობის მოქმედ ნორმებს.

4. კლინიკაში შემავალ სტრუქტურულ ქვედანაყოფებს ხელმძღვანელობს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, რომელსაც რექტორთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კლინიკის დირექტორი.

5. კლინიკის სრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია კლინიკის დირექტორის წინაშე.

6. კლინიკის სტრუქტურულ ქვედანაყოფების საქმიანობის წესი რეგულირდება კლინიკის დირექტორის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

### **მუხლი 6. კლინიკის ქონება**

1. კლინიკის ქონება წარმოადგენს თსსუ-ს საკუთრებას და კლინიკას იგი გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით.

2. კლინიკის ქონებრივი და ფინანსური უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მოქმედი კანონმდებლობით ფილიალისათვის დადგენილი სტატუსი, სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციის გარეშე.

3. კლინიკის ქონებასა და შემოსავლებთან დაკავშირებული საკითხები კლინიკასა და თსსუ-ს შორის რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

### **მუხლი 7. კლინიკის ეკონომიკური საქმიანობა**

1. კლინიკა ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს:

ა) საკუთარი სახელით, თსსუ-ს მიერ დადგენილ ფარგლებში ან

ბ) თსსუ-ს მინდობილობით, სახელშეკრულებო საწყისებზე სათანადო ანაზღაურების პირობებში;

2. ეკონომიკურ საქმიანობას კლინიკა ახორციელებს წინამდებარე დებულების, მოქმედი კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული აქტებიდან გამომდინარე. შემსყიდველებთან (დამკვეთებთან) დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ან თსსუ-ს და შესაბამისი ორგანოების დავალებების საფუძველზე.

3. შესრულებული სამუშაოების, გაწეული მომსახურების ფასებსა და ტარიფებს, ბაზრის კონიუქტურიდან გამომდინარე, კლინიკა ადგენს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

4. ფასები და ტარიფები, რომელიც რეგულირდება სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, სავალდებულოა კლინიკისათვის. კლინიკის მიერ გასაწევი ცალკეული მომსახურების ტარიფები შეიძლება დადგინდეს თსსუ-ს მიერ.

5. მიმდინარე ეკონომიკური საქმიანობისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებს კლინიკა წყვეტს დამოუკიდებლად, თუ სხვა რამ არ იქნება წინასწარ განსაზღვრული თსსუ-ს მიერ.

6. კლინიკა თსსუ-სთან შეთანხმებით განსაზღვრავს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს.

### **მუხლი 8. წლიური შედეგები**

1. წლიური შედეგები აისახება კლინიკის ბალანსში, თსსუ-ს ნაერთ ბალანსში და საბუღალტრო ანგარიშებში.

2. კლინიკის წლიურ ბალანსს ამტკიცებს თსსუ.

3. კლინიკის ფონდების ჩამონათვალს, მათი შევსებისა და გამოყენების წესს განსაზღვრავს კლინიკის ადმინისტრაცია და ამტკიცებს თსსუ.

## **მუხლი 9. აღრიცხვა და ანგარიშგება**

1. საბუღალტრო და სტატისტიკურ აღრიცხვას კლინიკა ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოცულობითა და პერიოდულობით.
2. სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს და გრძელდება 1-ლი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

## **მუხლი 10. კლინიკის საქმიანობის კონტროლი**

1. კლინიკის საქმიანობის კონტროლი ხორციელდება თსსუ-ს მართვის შესაბამისი ორგანოების მიერ.
2. საჭიროების შემთხვევაში თსსუ ნიშნავს აუდიტორს.
3. კლინიკის საქმიანობა მოწმდება არსებული კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 11. პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტა**

1. კლინიკა პასუხისმგებელია თავის ვალდებულებებზე.
2. დავა კლინიკასა და მის მუშაკს შორის წყდება მოქმედი შრომისა და სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე.
3. კლინიკის დირექტორისა და კლინიკის მუშაკების პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 12. კლინიკის საქმიანობის შეწყვეტა**

1. კლინიკის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველებია:
  - ა) რეორგანიზაცია;
  - ბ) ლიკვიდაცია.
2. კლინიკის ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **მუხლი 13. დასკვნითი დებულებები**

კლინიკის დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.